თინა ცხოვრებაძე •

ევროკავშირის ენერგომომარაგების თავისუფლება და სამხრეთ კავკასიის რეგიონი ••

2022 წლის 24 წლის თებერვალს რუსეთის მიერ წამოწყებულ-მა ომმა უკრაინაში ევროპული სახელმწიფოებისა და დემოკრატიულ-ი სამყაროსთვის ცხადყო ენერგორესურსების მომწოდებლის, მა-თი სატრანზიტო გზებისა და მიწოდების ფორმების გადახედვის აუცილებლობა. ფაქტია, რუსეთი იმედოვნებდა, რომ მის ენერგორე-სურსებზე დამოკიდებული ევროპა თავს შეიკავებდა, ან შეზღუდულ-ი პოზიციის დაფიქსირებით რუსეთისთვის არც თუ ისე ანგარიშ-გასაწევ წინააღმდეგობას გაწევდა უკრაინის მხარდაჭერის მიზნით. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც რუსეთი კიდევ ერთხელ შეცდა უკ-რაინასთან ომის მოსალოდნელი სცენარის გათვლაში და ცდილობს, შეაფერხოს ევროპული სახელმწიფოების მცდელობა მოძებნონ ალ-ტერნატიული წყაროები მათი მოსახლეობის ენერგო საჭიროების-თვის.

2022 წლის 18 მაისს ევროკომისიამ მიიღო ,,სტრატეგია ევრო-კავშირის გარე ენერგეტიკული ჩართულობისთვის". დოკუმენტის მიხედვით გამოიყო ძირითადად ორი ტიპის სახელმწიფოები: პირ-ველი - ქვეყნები, რომლებიც ევროკავშირის სახელმწიფოებს მოამ-არაგებენ მითვის საჭირო ენერგიით, ხოლო მეორე ჯგუფში ერთიან-დება სახელმწიფოები, რომელთა სახელმწიფო სივრცე გამოიყენება ენერგიის ტრანზიტისთვის. განახლდა მსჯელობა გაზის სამხრეთ დერეფნის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე. ამგვარად, უახლოესი

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასის-ტენტ-მკვლევარი

•• მოხსენება 2022 წლის 24 ნოემბერს ჩატარებულ მე-2 სამეცნიერო კონფე-რენციაზე „პოლიტიკური მეცნიერება საქართველოში: მიღწევები, პრობლე-მები, პერსპექტივები".

ათი წლის მანძილზე სამხრეთ კავკასიის რეგიონი კიდევ უფრო მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ როლს შეიძენს, აზერბაიჯანი - თავისი ბუნებრივი რესურსების, ხოლო საქართველო - სატრანზიტო პოტენციალის გამო. მოცემული ვითარებიდან გამომდინარე ჩნდება კითხვა: რა გავლენას ახდენს ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის გამოწვევები სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ განვითარებაზე და როგორი არის მათი კოორდინაცია ევროპის ენერგოპოლიტიკურ თანამშრომლობაში?

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირის ენერგოპოლიტიკა, სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო პოტენციალი, გაზის სამხრეთი დერეფანი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა.

2022 წლის რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომმა მსოფლიო წესრიგი კიდევ ერთხელ გამოწვევის წინაშე დააყენა. მსოფლიოს განვითარებული სახელმწიფოები სხვა ბუნებრივ გლობალურ პრობლემებთან ერთად, მაგალითად როგორიცაა კლიმატის ცვლილება, პანდემია, სიღარიბე, კიდევ ერთხელ აღმოჩნდნენ გეოპოლიტიკური კრიზისის წინაშე, რომელიც ცვლის გლობალური უსაფრთხოების კონცეფციას, განსაკუთრებით კი ევროპის კონტინენტზე. ევროკავშირი, ევროპული სახელმწიფოები და ამერიკის შეერთებული შტატები ერთობლივი ძალისხმევით, ცდილობენ რუსეთის შეიარაღებული აგრესიის შემცირებას, თუმცა, ფაქტია, ევროპა დიდ წილად დამოკიდებულია რუსულ რესურსებზე, განსაკუთრებით კი ენერგეტიკული კუთხით. ამ ეტაპზე ევროპის სახელმწიფოები უფრო აქტიურად ფიქრობენ გამონახონ ახალი საშუალებები მათი რუსეთზე ენერგეტიკული დამოკიდებულების შემცირების მიზნით.

როგორც ცნობილია, 2022 წლის რუსეთ-უკრაინის შემდეგ სამხრეთ კავკასიის რეგიონი თავისი ენერგო რესურსებისა და ენერგო დერეფნების მაღალი პოტენციალის გამო, კიდევ უფრო საინტერესო გახდა ევროკავშირის სახელმწიფოებისთვის (ევროკომისიის სტრა-

ტეგია ,,ევროკავშირის საგარეო ენერგო ჩართულობა ცვალებად მსოფლიოში“), აქვე აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კავკასიისთვის ევროპასთან თავისი საერთაშორისო პროექტებისა და თანამშრომლობის ეფექტურად განხორციელების წინაპირობა უფრო მეტად დემოკრატიული და პოლიტიკურად სტაბილური გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობაა.

კვლევის მიზანია, გააანალიზოს ევროკავშირის მიერ ევროპის ენერგოდამოუკიდებლობის გადააზრება და სამხრეთ კავკასიის როლი ევროპის რეგიონის ენერგო თავისუფლების მოპოვების პროცესში, რა გამოწვევების დაძლევა სჭირდება სამხრეთ კავკასიის რეგიონს თავისი ენერგო რესურსებისა და ენერგო დერეფნების გამოყენებისთვის? როგორ იყენებს რუსეთი თავის ბუნებრივ ენერგო რესურსებსა თუ ენერგო გზებს საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების განსაზღვრის პროცესში და რა რისკებთან იყო დაკავშირებული ევროპის მიამიტური მიდგომა: საერთო ეკონომიკური კავშირები ამცირებს ურთიერთდაპირისპირების ალბათობას?

აღნიშნულ კითხვებზე პასუხების ძიებისას გამოიკვეთა რამდენიმე საყურადღებო პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენა. პირველ რიგში, აღსანიშნავია ევროპული სახელმწიფოების მიერ რუსეთის სამხედრო აგრესიაზე არაადექვატური პასუხი, რუსების მუდმივი პრეტენზია, ეღიარებინათ მისი გავლენის სფეროები (მათ შორის კავკასიის რეგიონი და უკრაინა), ევროპის დაშოშმინებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის პოლიტიკა, რომელთა მეშვეობითაც რუსეთს უფრო მეტად პროგნოზირებად სახელმწიფოდ წარმოიდგენდნენ, იმედოვნებდნენ, რომ ევროპულ სახელმწიფოებთან წარმოებული პოლიტიკურ-ეკონომიკური პროექტებით რუსეთს უფრო მეტი მოგება ექნებოდა, ხოლო მათთან დაპირისპირების შემთხვევაში - მეტი დანაკარგი. ევროპა შეცდა ვარაუდში, რომელიც რუსეთის მიერ ეკონომიკური რაციონალიზმის თეორიას ემყარება. სანაცვლოდ რუსეთმა თავისი ენერგო რესურსები და სატრანზიტო

გზები ევროპული დემოკრატიული სამყაროს დამორჩილებისა და კონტროლის მიზნით გამოიყენა.

2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომამდე რამდენიმე წლით ადრე მიმდინარეობდა მსჯელობა, რომელიც ახალ ენერგო რესურსებისა და სატრანზიტო დერეფნებს უკავშირდებოდა. დღეს კი აქტუალობას არ კარგავს ჩრდილოეთ ნაკადი 1-სა და ჩრდილოეთ ნაკადი 2-ის საკითხი. ჩრდილოეთ ნაკადი 1-ის მშენებლობა დაიწყო 2005 წელს და დასრულდა 2010-11 წლებში, ამოქმედდა 2012 წლიდან. რაც შეეხება ჩრდილოეთ ნაკად 2-ს, მისი მშენებლობა დაიწყო 2011 წელს და დასრულდა 2021 წლის სექტემბერს, ხოლო 2022 წლის 22 თებერვალს გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა ,,რუსეთის ფედერაციის მიერ ე. წ. დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარების ფონზე“ (reginfo, 2022), გაზსადენის ექსპლუატაციაში შესვლა შეაჩერა. ჩრდილოეთ ნაკადი 2 კიდევ უფრო დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ატარებს, რადგან რუსეთს მასთან ერთად თურქეთის ნაკადის კომბინირებით, შეუძლია ჩაანაცვლოს უკრაინის ტერიტორიაზე გამავალი გაზსადენები: ,,კავშირი“ და ,,ძმობა.“ ამავე წლებში, აქტიურად განიხილებოდა ჩრდილოეთ ნაკადი 2-ის ალტერნატიული გაზსადენის პროექტი, რომელსაც გაზმომარაგების სამხრეთ დერეფანს უწოდებენ, მილსადენის შევსება ხდება კასპიის რეგიონის, ახლო აღმოსავლეთის, მოსალოდნელია ცენტრალური აზიის ქვეყნების მეტი ჩართულობა, რათა გაზი მიაწოდონ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, განსაკურებით, სამხრეთ გერმანიას, ავსტრიასა და იტალიას (საგარეო ურთიერობების გერმანიის საბჭო, 2011). აღნიშნულ სატრანზიტო გზაზე მსჯელობა მეტად გააქტიურდა 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომისა და უკრაინა-რუსეთის გაზის კრიზისის შემდეგ. სამხრეთ ნაკადი რამდენიმე გაზსადენს მოიცავს (SCP - სამხრეთ კავკასიის მილსადენი, TANAP - ტრანს ანატოლიური მილსადენი, TAP - ტრანს ადრიატიკის მილსადენი)

და მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან, ევროპასთან დამაკავშირებელ კომ-პონენტად მოიაზრებოდა ნაბუქოს მილსადენი, რომელიც (პროექ-ტის ერთ-ერთი მონახაზის მიხედვით) გაივლიდა თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და ავსტრიის ტერიტორიას. მრავალთვიანი განხილვის შემდეგ, პროექტის მაღალი თვითღირე-ბულების, კავკასიის რეგიონისა და ახლო აღმოსავლეთის არასტაბი-ლური პოლიტიკურ-ეკნომიკური მდგომარეობის გამო (იქვე), ასევე გაზსადენის შესავსებად საჭირო გაზის ნაკლებობის გამო, ნაბუქოს პროქტი არ დამტკიცდა, ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ამ პერი-ოდში ევროკავშირსა და ევროპის ქვეყნებს არ ჰქონდათ საერთო ძლიერი ენერგო სტრატეგიული ხედვა და თითოეული მათგანი დიდ წილად მხოლოდ ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებდა. თუ დავუბრუნდებით თანამედროვე ვითარებას, ფაქ-ტია, არც თავად რუსეთია მშვიდობის მოყვარე სახელმწიფო, რო-მელიც სანდო პოლიტიკური თუ ეკონომიკური პარტნიორი შეიძ-ლება იყოს, თუმცა, 2022 წლამდე ამ ფაქტის აღიარება და მიღება არ სურდა ევროპული სახელმწიფოების უმრავლესობას, ხოლო რუსე-თის მიერ პირდაპირმა, სრულმასშტაბიანმა, თავდასხმითმა ომმა უკრაინის წინააღმდეგ კიდევ ერთხელ ძალიან ნათლად დაადას-ტურა, რომ რუსეთი არ შეიძლება იყოს სანდო პოლიტიკური თუ ეკონომიკური პარტნიორი. ამგვარად, ევროპას კიდევ უფრო მეტად სჭირდება მოიპოვოს ენერგო თავისუფლება და გამოძებნოს ალ-ტერნატიული გზები ენერგორესურსების მისაღებად. სწორედ ამ მცდელობის კონტექსტში შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ კავკასია ევროპული სახელმწიფოებთან პარტნიორობისა და თანამშრომლო-ბისთვის ყველაზე დიდ პოტენციალს იძენს, ახლა ყველაზე მნიშ-ვნელოვანია თუ როგორ გამოიყენებენ ამ ღია შესაძლებლობის ფან-ჯარას რეგიონის სახელმწიფოები: აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი. სამივე მათგანს აქვს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური გამოწვევები, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ ევროკავ-

შირთან თანამშრომლობას, სომხეთი კი ყველაზე ნაკლებად მოიაზრება სამხრეთ დერეფნის ერთ-ერთ აქტორად მისი საგარეო პოლიტიკური კურსისა და გაზის რესურსების მფლობელ სახელმწიფოსთან, აზერბაიჯანთან კონფლიქტის გამო, თავად აზერბაიჯანის საშინაო პოლიტიკური კურსი არც თუ ახლოს არის დემოკრატიული მმართველობით ფორმასთან, ხოლო საქართველოს შემთხვევაში გარდამავალი დემოკრატიული პროცესების მიმდინარეობის პირობებში, ჯერ კიდევ შესასრულებელია ევროკომისიის მიერ გაცემული 12 რეკომენდაცია, რომელთა წარმატებით განხორციელების შემთხვევაში საქართველოს შანსი, ისარგებლოს მისი გეოპოლიტიკური მახასიათებლებით, გახდეს დასავლეთისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური პარტნიორი, გაიზრდება. აღნიშნულს მოწმობს ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარი, ოლივერ ვარჰეის მიერ 2022 წლის 15 ნოემბერს საქართველოს პრემიერ მინისტრთან ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრისას გაჟღერებული შეფასებები: ,,რუსეთის შეჭრის ფონზე, ,,გვჭირდება სანდრო პარტნიორები“ უსაფრთხოების, ეკონომიკისა და ენერგეტიკის სფეროში. ,,საქართველო შეიძლება იყოს ერთ-ერთი ასეთი პარტნიორი“ (Civil.ge, 2022).

ამგვარად, რუსეთ-უკრაინის ომმა მსოფლიოს განვითარებული სამყარო დაარწმუნა რუსული სახელმწიფოს არაჰუმანურ, ტერორისტულ ბუნებაში, რაც ევროპულ სახელმწიფოებს უბიძგებს საკუთარი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, ეძიოს უფრო მეტად სანდო პარტნიორები. ამჟამად, სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამი ქვეყნიდან ორს მაინც აქვს რეალური შანსი, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში და საერთაშორისო ასპარეზზე ერთიორად გაზარდონ თავისი პოლიტიკური წონა, რაც სასარგებლო იქნება, მათი სახელმწიფოებრივი ინტერესების მიხედვით შემუშავებული როგორც საშინაო,

ასევე - საგარეო პოლიტიკური კურსის მკაფიო განსაზღვრისა და რეალიზებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

Civil.ge. (2022, ნოემბერი 15) ოლივერ ვარჰეი თბილისს სტუმრობს. https://civil.ge/ka/archives/514952 ნანახია 15.11.2022 21:45 სთ-ზე

Reginfo.ge. (2022, თებერვალი 22) გერმანიამ ,,ჩრდილოეთ ნაკადი 2-ის“ ექსპლუატაციაში შესვლა შეაჩერა. https://reginfo.ge/world/item/25220-germaniam-%E2%80%9Echrdiloetis-nakadi-2-is%E2%80%9C%20-eqspluataziashi-shesvla-sheachera ნანახია, 16.11.2022 15:00 სთ-ზე

German Concil on Foreign Relations, External Publications. (2011, ნოემბერი 1) The Southern Gas Corridor and the South Caucasus. https://dgap.org/en/research/publications/southern-gas-corridor-and-south-caucasus ნანახია 21.11.2022 17:45 სთ-ზე.

ევროკომისია. (2022, მაისი 18), ევროკავშირის საგარეო ენერგო ჩართულობა ცვალებად მსოფლიოში. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52022JC0023&from=EN ნანახია, 15.11.2022 14:15 სთ-ზე

Tina Tskhovrebadze

Energy supply Freedom of the Europe Union and the South Caucasus Region

Abstract

The war launched by Russia in Ukraine on February 24, 2022, clarified to the European states and the democratic world the need to rethink the supplier of energy resources, their transit routes, and forms of transition. It is a fact, that Russia hoped that Europe, dependent on its energy resources, would refrain, or take a limited position while representing its supportive position regarding the Russian armed intervention in Ukraine. In this case, Russia has once again made a mistake in calculating the expected scenario of war with Ukraine and is trying to hinder the efforts of European states to find alternative sources for the energy needs of their population.

On May 18, 2022, the European Commission adopted the "Strategy for an EU external energy engagement." According to the document, it can be said that two types of states were distinguished: the first are countries that will supply the EU states with the necessary energy, and the second group includes states for energy transit. Discussions on the strategic importance of the Southern Gas Corridor have been renewed. Thus, in the next ten years, the South Caucasus region will acquire an even more crucial geopolitical role, Azerbaijan - due to its natural resources, and Georgia - due to its transit potential, the potential of Armenia is yet to be seen, but there are some signs whether or not Armenia will be involved in the process. Based on the given situation, the main question arises: what is the impact of the EU energy policy challenges on the political development of the South Caucasus, and how the Caucasus countries can coordinate in the process of shaping the new energy policy of the European Union?

Keywords: Energy policy of the EU, transit potential of the Southern Caucasus, The Southern Gas Corridor, Georgia, Armenia, Azerbaijan, Ukraine